სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“-ს ტენდერი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევაზე

ძირითადი სადაზღვევო პირობები:

1) ჯანმრთელობის სრული დაზღვევა, რომელიც უნდა ითვალისწინებს ოთხი კატეგორიის სადაზღვევო პაკეტს (რაც გულისხმობს ოთხი განსხვავებული ღირებულების პაკეტს სხვადასხვა რანგის თანამშრომლებისთვის) და შემდეგ მინიმალურ პირობებს:

პირობები	მზღვეველის წილი	ლიმიტი
24 საათიანი სატელეფონო მომსახურება	100%	ულიმიტო
პირადი ექიმის მომსახურება	100%	ულიმიტო
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	100%	ულიმიტო
ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურება		
გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება	100%	8000 ლარი
გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურება	100%	
დღის სტაციონარი	60%	6000 ლარი
ონკოლოგია	80%	6000 ლარი
ორსულობა	100%	800 ლარი
მშობიარობა	100%	800 ლარი
ამბულატორიული მომსახურება		
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება	100%	ულიმიტო
გეგმიური ამბულატორიული მომსახურება	60%	4000 ლარი
მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება	70%	2000 ლარი
დაავადებათა ფილაქტიკა		
ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები	100%	ინდ. სადაზღვევი პერიოდში ერთხელ
სტომატოლოგიური მომსახურება		
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება	100%	ულიმიტო
გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურება პროვაიდერ კლინიკებში	50%	3000 ლარი
ორთოპედიული სტომატოლოგიური მომსახურება და იმპლანტაცია პროვაიდერ კლინიკებში	60%	3000 ლარი
დამატებითი მომსახურება		
სიცოცხლის დაზღვევა (ვრცელდება მხოლოდ დამზღვევის თანამშრომლებზე)	3000 ლარი	
უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალება	5000 ლარი	

2) ოჯახის წევრების (მეუღლე და შვილები) ჯანმრთელობის დაზღვევა ზემოთ მოცემული პირობების გათვალისწინებით და დამატებითი ოჯახის წევრების (და-ძმა ოჯახებით, მშობლები) ჯანმრთელობის დაზღვევა (იმ შემთხვევაში თუ დამატებით ოჯახის წევრებზე მოქმედებს განსხვავებული ლიმიტი გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალური ჩამონათვალი).

ჩვენი ძირითადი მოთხოვნებია:

• სადაზღვევო კომპანიების პროვაიდერ კლინიკების ცხრილს თბილისში და რეგიონებში.
• გამონაკლისების დეტალური განმარტება (დაავადებების და მათი ჯგუფების კონკრეტული ცხრილი, რომელიც არ იფარება დაზღვევით, ყოველგვარი „ა.შ.“-ის გარეშე).
• თუ სადაზღვევო კომპანიას არ ჰყავს სტომატოლოგიური პროვაიდერი კონკრეტულ რეგიონში/ქალაქში, დაზღვეულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს თავისუფალი არჩევანის სქემით. (გადახდა, ანაზღაურება)
• დაზღვეულებს უნდა ჰქონდეთ უფლება მიმართონ ნებისმიერ ლიცენზირებულ ექიმს, სამედიცინო დაწესებულებას, აფთიაქს; არაპროვაიდერ კლინიკებში სერვისის მისაღებად სქემის აღწერა (პაციენტის მიერ წარსადგენი საჭირო დოკუმენტების ცხრილის ჩათვლით).
• შესაძლებელია პროდუქტის რამოდენიმე ვარიანტის განხილვა, ფასის და პროდუქტის შესაბამისობით, როგორც საბაზისო ასევე დამატებითი ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილ პროდუქტებზე.

შემოთავაზებაში მითითებული უნდა იყოს პრემია ინდივიდუალური პაკეტის აღების შემთხვევაში და საოჯახო პაკეტის აღების შემთხვევაში.

დასაზღვევ პირთა ოდენობა ამჟამად შეადგენს 330 -ს. (+ დაზღვეულთა ოჯახის წევრების რაოდენობა) .

დამატებითი პირობები და კომენტარები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, აუცილებელია შესრულებულ იქნას შემდეგი პირობები:

• სადაზღვევო სერვისებით სარგებლობის თავისუფალი სქემა;
• ქრონიკული დაავადების დიაგნოსტიკის, საკონტროლო კვლევების და კონსულტაციის ხარჯების ანაზღაურება;
• გულისა და სისხლძარღვების დაავადებების გამოკვლევების და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება;

• ონკოლოგიური დაავადებების ქირურგიული და თერაპიული მკურნალობა; მ.შ. ქიმიო და სხივური თერაპია;
• შეძენილი მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება;
• სადაზღვევო დაფინანსება ნებისმიერი სახელმწიფო პროგრამის მოქმედების მიუხედავად;
• სადაზღვეო პაკეტის შეცვლის შესაძლებლობა;

• შვილები მინ. 21 წლამდე

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარადგინონ:
• ფასები, თანდართული ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისების დეტალური ჩამონათვალი
• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
• გასაფორმებელი ხელშეკრულების დრაფტი (შემდეგი ინფორმაციის მითითებით: სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების პირობები, საჭირო დოკუმენტები და პროცედურა; გამონაკლისების დეტალური სია);
• პროვაიდერების სია ;
• დამატებითი/განსხვავებული შემოთავაზები,მათი არსებობის შემთხვევაში

შესაძლებელია განხორციელდეს პრეტენდენტებისაგან სხვა დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ან/და წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება.

სატენდერო წინადადების ფასი საჭიროა მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
შერჩეულ კომპანიასთან გაფორმდება ხელშეკრულება 1 (ერთი) წლის ვადით.

ტენდერის საკითხებთან დაკავშირებით, გთხოვთ წერილობით მიმართოთ :

ანა ვაშაძე

შესყიდვების განყოფილება

595 60 70 70

a.vashadze@aldagi.ge